ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება (მემორანდუმი)

ქ.თბილისი 30 ივნისი 2014 წელი

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, სამსახურის ადმინისტრაციის უფროსი რუსუდან კასრაძის სახით და ააიპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), მისი დირექტორის გიორგი კლდიაშვილის სახით, კეთილი ნების საფუძველზე დებენ წინამდებარე ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმებას (მემორანდუმს):

1. **შეთანხმების საგანი**

1.1 სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის გამჭირვალობისა და საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების ამაღლების, კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და სამსახურის ვებ-გვერდზე განთავსების სტანდარტის შემუშავების მიზნით, ინსტიტუტი სამსახურს მიაწვდის რეკომენდაციებს საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულებისა და სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდის მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად;

1.2 სამსახური თავის მხრივ შეისწავლის, გაანალიზებს და საჭიროების შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით პრაქტიკულ საქმიანობაში გამოიყენებს ინსტიტუტის მიერ მიწოდებულ რეკომენდაციებს.

1.3 შეთანხმებით გათვალისწინებული საქმიანობა განხორციელდება საზოგადოებრივ საწყისებზე, არაკომერციულ საფუძველზე, მხარეებს შორის ნებაყოფლობითი თანამშრომლობის გზით.

2. **მხარეები:**

რუსუდან კასრაძე	გიორგი კლდიაშვილი
საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ადმინისტრაციის უფროსი	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) დირექტორი